საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მეთოდოლოგია

თბილისი

2024

შინაარსი

შესავალი 2

კურიკულუმის განხორციელება და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესი 2

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა 3

- გეგმების პერიოდულობა და ხანგრძლივობა 4
- გეგმების შედგენის პროცესი 6
- გეგმების ფორმა 7
- გეგმებში ინდივიდუალიზაციის გათვალისწინება 8

საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა 10

- საჭირო საგანმანათლებლო რესურსის და მათი მინიმალური რაოდენობის განსაზღვრა 11
- საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის დაორგანიზება 15

გარემოს ფიზიკური მოწყობა 18

ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდების გამოყენება 19

- პორტფოლიოების წარმოება 25

საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება 28

შესავალი

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების (შემდგომში - ავტორიზაციის სტანდარტები) მნიშვნელოვანი მიმართულებაა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის, დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობისა და ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პრაქტიკის არსებობამ, რადგან ყოველივე აღნიშნული ხარისხიანი მომსახურების მიწოდების წინაპირობაა. შესაბამისად, ავტორიზაციის პროცესში ჩართული ყველა მხარე უნდა იზიარებდეს იმ პრინციპებსა და პრაქტიკებს, რაც ხარისხიან საგანმანათლებლო პროცესის წარმართვასთანაა დაკავშირებული.

მოცემული მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიზანიც სწორედ ისაა, რომ ერთის მხრივ, დაეხმაროს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს (შემდგომ-დაწესებულება) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მასთან დაკავშირებული საკითხების გააზრებაში, ხოლო მეორეს მხრივ, მისცეს საშუალება ავტორიზაციის პროცესში ჩართულ მხარეებს ნათლად დაინახონ, რას მოიცავს ეს პროცესი და როგორ უნდა დაკმაყოფილდეს ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნები. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ დამხმარე რესურსს, რომელიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს როგორც თავად დაწესებულებებისათვის, ასევე მათი მართვის მუნიციპალური ორგანოებისათვის, თუ სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

მართალია კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება ერთიანი ციკლის ნაწილია, მოცემულ დოკუმენტში განვიხილავთ ავტორიზაციის მეორე სტანდარტის (კურიკულუმი) მხოლოდ მეორე კომპონენტს - კურიკულუმის განხორციელება. კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია ცალკე დოკუმენტად არის ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისთვის.

კურიკულუმის განხორციელება და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესი

შერჩეული თუ შექმნილი კურიკულუმის განხორციელება ხდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის მეშვეობით, შესაბამისად საგანმანათლებლო

პროცესი მიეკუთვნება ბაღში მიმდინარე ძირითადი პროცესების რიცხვს. ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით კურიკულუმის ხარისხიანად დასანერგად, დაწესებულებაში:

1. უნდა მოქმედებდეს **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა,** რომელიც ეფუძნება როგორც შერჩეული/შექმნილი კურიკულუმს ასევე ბავშვების ინდივიდუალურ ინტერესებსა და საჭიროებებს და ითვალისწინებს ბავშვის სწავლისა და განვითარებისთვის მრავალფეროვანი თამაშის მნიშვნელობას. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა აუცილებლად უნდა იყოს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის“ სახით;
2. უნდა არსებობდეს ყველა ბავშვისათვის საკმარისი და **მრავალფეროვანი რესურსი**, იმისათვის, რომ კურიკულუმის მიზნები მიღწეულ იქნას;
3. **ფიზიკური გარემო** იმგვარად უნდა იქნას მოწყობილი, რომ ბავშვებს შეეძლოთ მრავაფლეროვან საქმიანობების წამოწყება და სხვადასხვა თამაშების თამაში;
4. ბავშვების **შეფასება** უნდა ხორციელდებოდეს რეგულარულად **დაკვირვებისა და ოჯახების ჩართულობის საფუძველზე** და ამ შეფასების საფუძველზე მოხდეს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა ან ცვლილება.

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა

ვინაიდან კურიკულუმის წარმატებული განხორციელება დიდწილად მის სწორ დაგეგმვაზეა დამოკიდებული, მნიშვნელოვანია, რომ ბაღს კარგად ჰქონდეს გააზრებული ეს პროცესი და სტრუქტურულად მიჰყვებოდეს მის თითოეულ ეტაპს. მრავალფეროვანი თამაშებისა და აღმზრდელის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებასთან ერთად, საგანმანათლებლო პროცესის განხორციელება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება;
- საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა;
- ჯგუფური ოთახის/გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა;
- ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდების შერჩევა/შემუშვება და გამოყენება;
- პორტფოლიოების წარმოება;
- საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება.

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავების ეტაპზე დაწესებულებაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი ტიპის გადაწყვეტილებები:

- რა პერიოდულობით და ხანგრძლივობით იქმნება გეგმები;
- როდის იწყება გეგმების შედგენის პროცესი და რა ფორმალურ ეტაპებს გადის;
- როგორი არის გეგმის ფორმა, არის ის საერთო ბაღის ყველა ჯგუფისთვის/გაერთიანებაში შემავალი ყველა ბაღისთვის თუ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის გამოიყენება სხვადასხვა ფორმა;
- როგორ ხდება ინდივიდუალიზაციის გათვალისწინება გეგმებში;
- როდის და ვის მიერ ხდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) როგორ არის ჩართული პროცესში.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

გეგმების პერიოდულობა და ხანგრძლივობა

დაგეგმვისას ძალიან მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა დროითი პერსპექტივიდან დანახვა, რაშიც დაგეგმვის პერიოდულობა და ხანგრძლივობა გვეხმარება. **პერიოდულობა** გულისხმობს რა სიხშირით, რა პერიოდში ერთხელ უნდა ხდებოდეს გეგმების შედგენა და შემდეგ გადახედვა საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ხოლო **ხანგრძლივობა** ეხება იმას თუ რა დროზეა გაწერილი გეგმა, მოკლევადიანია თუ გრძელვადიანი და რა პერიოდს მოიცავს თითოეული.

ბაღი თავისუფალია აირჩიოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენის პერიოდულობა და ხანგრძლივობა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ეს გეგმები შეესაბამებოდეს ბაღის მიერ შერჩეული/შექმნილი კურიკულუმის მოთხოვნებს. ასე მაგალითად, ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაშის“ მიხედვით აღმზრდელი იყენებს ერთ კვირაზე გაწერილ მიმდინარე გეგმებს, რომლებიც ყოველკვირეულად დგება და მოიცავს, როგორც საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების, ასევე, ინდივიდუალიზაციის კომპონენტს. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ კი ითვალისწინებს, მოკლევადიან-ერთი კვირის დეტალურ და გრძელვადიან-ერთი თვის ზოგადი ხასიათის გეგმას. გეგმების შედგენა ასევე დამოკიდებულია იმ კურიკულუმის ძირითად მიდგომებზე, რომელსაც ბაღი იყენებს. მაგალითისთვის ადრეული განათლების კურიკულუმ „თამაშში“ მითითებულია, რომ პროექტზე მუშაობისას აღმზრდელი დაგეგმვის იგივე, მიმდინარე ფორმას იყენებს და პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებსა თუ გამოწვევებს მიმდინარე დაგეგმვის ყოველკვირეულ ცხრილში ანაწილებს, მაშინ როდესაც რეჯიო ემილიას მიდგომა საერთოდ არ ითვალისწინებს კონკრეტული პერიოდულობისა თუ ხანგრძლივობის დაგეგმვის ფორმებს და პროექტული სწავლების მეთოდის გამოყენებისას იყენებს ე.წ.

წინასწარი დაგეგმვის რუკებს, რომელთა ხანგრძლივობაც დამოკიდებულია პროექტის ხანგრძლივობაზე.

გრძელვადიანი გეგმა დაკავშირებულია ისეთი საკითხების გააზრებასთან, როგორიცაა: სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები, განვითარების სფეროები და თემატური მიმართულებები, ეზოს/გარე სივრცესა და დაწესებულების შიგნით მიმდინარე აქტივობების თანაფარდობა, საგანმანათლებლო პროცესში ოჯახის და თემის ჩართულობა და სხვ. შესაბამისად, გრძელვადიანი გეგმების შედგენის პროცესში მნიშვნელოვანია, რომ ბაღის საგანმანათლებლო პერსონალი სრულად იყოს ჩართული ან თუ ნაწილი მათგანის მიერ მოხდება გეგმების შემუშავება, შემუშავებული დოკუმენტის პროექტი დამტკიცებამდე გაზიარებული და განხილული იქნას საგანმანათლებლო პერსონალის დანარჩენ ნაწილთან.

გრძელვადიანი გეგმა შეიძლება იყოს ერთთვიანი, რამდენიმეთვიანი (კვარტლური) ან წლიური. ერთთვიანი გეგმები არაეფექტიანი პრაქტიკაა, რადგან დაკავშირებულია დიდ ადამიანურ და შრომით რესურსთან. რეკომენდებულია ბაღმა გრძელვადიანი გეგმა შეადგინოს წლიურად, კვარტლურად ან წელიწადში ორჯერ.

მოკლევადიანი გეგმები მოიცავს უფრო მოკლე და კონკრეტულ ამოცანებსა და მიზნებს. მოკლევადიანი გეგმის შედგენისას საგანმანათლებლო პერსონალი:

- ფიქრობს ყოველდღიურად, დღის განმავლობაში განსახორციელებელ საქმიანობებზე, რუტინაზე;
- აკვირდება ბავშვებს, შეისწავლის მათ ინტერესებს, საჭიროებებს და სწორედ ამის გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო კვირების საგანმანათლებლო პროცესს;
- ფიქრობს ბავშვის მიერ მართულ და უფროსის მიერ დაგეგმილ საქმიანობათა თანაფარდობაზე;
- ფიქრობს ფიზიკურ გარემოში ცვლილებების შეტანის საჭიროებაზე;
- ფიქრობს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის შეტანაზე;
- უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ინდივიდუალიზაციას.[1]

მოკლევადიანი გეგმების სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ ისინი თითოეული ჯგუფისთვის ინდივიდუალურად, ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის თანამონაწილეობით და ჩართულობით იქმნებოდეს. საგანმანათლებლო პერსონალის ურთიერთთანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა საგანმანათლებლო პროცესი

[1] "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევი"

ხორციელდება ე.წ. ცვლებში და დღის სხვადასხვა მონაკვეთში ბავშვებთან მომუშავე პერსონალი იცვლება. ამ შემთხვევაში სასიცოცხლოდ აუცილებელია პირველი და მეორე ცვლის საგანმანათლებლო პერსონალს ჰქონდეს მჭიდრო კომუნიკაცია ერთმანეთთან, შედგენილი გეგმები იყოს საერთო და დღის სხვადასხვა მონაკვეთში განხორციელებული აქტივობები უკავშირდებოდეს ერთმანეთს.

გეგმების შედგენის პროცესი

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება საგანმანათლებლო პერსონალის მჭიდრო თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს. პროცესის ეფექტიანად განხორციელებისათვის, მნიშვნელოვანია ბაღმა აღნიშნული გეგმების შემუშავება დაყოს ორ ნაწილად:

- გრძელვადიანი გეგმების შემუშავებისთვის შეიქმნას მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ბაღის მიერ დადგენილი პერიოდულობით (ყოველთვიურად, კვარტლურად ან წლიურად) შეიმუშავებს გრძელვადიან გეგმას. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და კომპლექტაცია ბაღის გადასაწყვეტია. შესაძლებელია მასში შედიოდეს ყველა ჯგუფის ყველა საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და ბაღის ხელმძღვანელი. ასევე შესაძლებელია სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდეს შერჩევითად, საგანმანათლებლო პერსონალის ნაწილით, თუმცა ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მნიშვნელოვანია, რომ შემუშავებული გრძელვადიანი გეგმა გაუზიარდეს დანარჩენ საგანმანათლებლო პერსონალს დამტკიცებამდე. სამუშაო ჯგუფი ასევე უნდა შეთანხდეს გრძელვადიანი გეგმების შესრულების და გადახედვის მიზნით შეხვედრების პერიოდულობაზე. სამუშაო ჯგუფის ფორმალიზებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ის დამტკიცდეს ბაღის დირექტორის ბრძანებით/გაერთიანების ხელმძღვანელის ბრძანებით;
- მოკლევადიანი გეგმები უნდა შემუშავდეს უშუალოდ თითოეული ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ. შემუშავებაში კი ჩართული უნდა იყოს ყველა სპეციალისტი, რომელიც მუშაობს ბავშვთან. ამაში იგულისხმება, როგორც სხვადასხვა ცვლების აღმზრდელ-პედაგოგები თუ აღმზრდელები/თანაშემწეები, ასევე მუსიკის, ცეკვისა თუ სხვა პროფილის საგანმანათლებლო პერსონალი. ასევე მოკლევადიან დაგეგმვაში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერმა სხვა პერსონალმა, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან ან ეხმარება აღმზრდელს. მაგალითად, ფსიქოლოგს შეუძლია დააგეგმინოს აღმზრდელს ინდივიდულიზაცია ბავშვისთვის, რომელსაც ქცევისა და ემოციების რეგულირება უჭირს. მოკლევადიანი დაგეგმვის

შემთხვევაში პროცესის ფორმალიზებას სამუშაო ჯგუფის შექმნა არ სჭირდება. საკმარისია მოკლევადიან გეგმებზე ჯგუფის ყველა საგანმანათლებლო პერსონალის ხელმოწერა, ან რამე სხვა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს რომ გეგმები ნამდვილად თანამშრომლობით იქმნება. ასევე, ეს კომპონენტი უნდა დასტურდებოდეს საგანმანათლებლო პერსონალის ხელშეკრულებებითაც, სადაც თითოეულ მათგანს განსაზღვრული ექნება არასაკონტაქტო ანაზღაურებადი საათები და ამ საათების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საგანმანთლებლო პროგრამების კოორდინატორის/მეთოდისტის ფუნქციაც გეგმების შემუშავების პროცესში. რეკომენდებულია მეთოდისტი უშუალოდ არ იყოს ჩართული მოკლევადიანი გეგმების შექმნაში, არამედ გეგმავდეს და მართავდეს ამ პროცესს. გამომდინარე იქიდან, რომ აღმზრდელის/აღმზრდელ-პედაგოგის გარდა ბაღში შეიძლება იყოს სვა ტიპის საგანმანათლებლო პერსონალიც (მაგ: მუსიკის აღმზრდელ-პედაგოგი, ცეკვის პედაგოგი და სხვ) მეთოდისტის როლი და ფუნქცია უნდა იყოს დაგეგმვის პროცესში ყველა ამ პერსონალის კოორდინაცია, მათ შორის საკითხების გაზიარება, ერთობლივ მიზანზე მიმართული, ურთიერთშეთანხმებული აქტივობების დაგეგმვა, სხვადასხვა საგანმანათლებლო პერსონალს შორის ბალანსის დადგენა, საუკეთესო გამოცდილებების გაზიარების ხელშეწყობა, წლიურ გეგმასთან შესაბამისობის დაცვა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შინაარსის ერთობლიობა წლის მანძილზე მიმართული უნდა იყოს სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი მისაღწევი შედეგების მიღწევაზე, გეგმებში უნდა იკითხებოდეს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე მუშაობა.

გეგმების ფორმა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბაღი თავისუფალია აირჩიოს გეგმის ფორმა რომელშიც იმუშავებს. ბაღს ასევე შეუძლია იმუშაოს ერთ ან ერთდროულად რამდენიმე ფორმაში. შესაძლებელია, გარკვეული პერიოდულობით, გეგმების ფორმის ცვლილებაც. რიგ შეთხვევებში, შესაძლებელია გეგმის/გეგმების ფორმები შერჩეულ კურიკულუმს ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული ან სარეკომენდაციო დანართად თანდართული. თუ კურიკულუმი მკაცრად განსაზღვრავს, რომელიმე კონკრეტულ ფორმას მნიშვნელოვანია ბაღმა ამ ფორმით იხელმძღვანელოს, ხოლო თუ სარეკომენდაციოდ არის ფორმა განსაზღვრული, ბაღს შეუძლია სურვილისამებრ გამოიყენოს ან თავად შეადგინოს ფორმა.

მთავარი, რაც უნდა იყოს გათვალისწინებული გეგმების ფორმის შედგენაში არის, რომ გეგმის ფორმა საშუალებას უნდა იძლეოდეს მასში დავინახოთ/მასში აისახოს:

- ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. ამის კარგი საშუალებაა მოკლევადიანი გეგმების ფორმებში იყოს დაკვირვება/რეფლექსიის სივრცე;
- ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, რაც ასევე გეგმებში დაკვირვებისა თუ რეფლექციის გრაფის გაჩენით არის შესაძლებელი;
- თამაშზე ორიენტირებული პროცესი, რაც ვლინდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩანაწერებისთვის განსაზღვრულ ველებში;
- სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა - ვლინდება სხვადასხვა ცენტრებსა და სივრცეებში განაწილებულ აქტივობებსა და რეფლექსიის ჩანაწერებში
- ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები - აისახება საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსიის ჩანაწერებისთვის გამოყოფილ ველებში;

რეკომენდებულია, გეგმის ფორმა იყოს მაქსიმალურად მარტივი და ადვილი გამოყენებისთვის. ასევე, რეკომენდებულია, გეგმის ფორმაზე გაკეთებული იყოს მინიშნებები, ჩანიშვნები, საგანმანათლებლო პროცესის შესაბამისად დაკორექტირებული აქტივობები და სხვ. ეს ყველაფერი იქნება მტკიცებულება იმისა, რომ გეგმები რეალურად ხორციელდება ჯგუფებში, რომ გეგმა არის ცოცხალი დოკუმენტი და ექვემდებარება ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებზე ადაპტირებას, რომ ბავშვისა და ჯგუფის ინტერესები პროცესში რეალურად გათვალისწინებულია.
მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ გეგმების (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი) ფორმები უნდა იყოს დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ.

გეგმებში ინდივიდუალიზაციის გათვალისწინება

არანაკლებ მნიშვნელოვანია გეგმებში იკითხებოდეს თუ როგორ პასუხობს ბაღი ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებსა და თავისებურებებს. აღნიშნულის უზრუნველყოფა ბაღს შეუძლია ორი გზით:

- მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანით/გაწერით. ინდივიდუალიზაცია არის პროცესი, როდესაც აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი კონკრეტულ თამაშებსა თუ საქმიანობებს ცვლის, ისე რომ მოარგოს ცალკეული ბავშვების ინდივიდუალურ თავისებურებებს. ინდივიდუალიზაციის ნაწილია როგორც ბავშვის კონკრეტული საჭიროებებისა და ინტერესების საფუძველზე, ინდივიდუალური თამაშებისა და სტრატეგიების გამოყენება (მაგ. კონკრეტული ბავშვისთვის დაგეგმილი თამაში), ასევე, საქმიანობების მორგება გართულების, გამარტივების ან უბრალოდ რაიმე ელემენტის შეცვლის გზით. ინდივიდუალიზაციისას საგანმანათლებლო პერსონალი ფიქრობს არამხოლოდ იმაზე თუ როგორი

თამაში, გამოწვევა თუ აქტივობა შესთავაზოს ბავშვებს, არამედ იმაზეც თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ ცალკეული ბავშვები ჩაერთონ და განვითარდნენ შეთავაზებული აქტივობებით. ინდივიდუალიზაცია ძირითადად აღმზრდელის მიერ იგეგმება და ხორციელდება, თუმცა შესაძლებელია სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი ან ლოგოპედი დაეხმაროს მას ინდივიდუალიზაციის სტრატეგიების მოფიქრებაში.

- ინდივიდუალური გეგმების გამოყენებით, რომელიც შეიძლება შემუშავებულ იქნას როგორც დაწესებულების მიერ ასევე დაწესებულების გარეთ არსებულ სერვის პროვაიდერთან (ადრეული ინტერვენციის ცენტრის, განვითარების ცენტრის და სხვ.) მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ინდივიდუალური გეგმა დგება კონკრეტული ბავშვისთვის, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად გამოხატული სპეციალური საჭიროება აქვს. შესაბამისად, ყველა ბავშვისთვის ცალკე ინდივიდუალური გეგმის შემუშავება არ არის საჭირო. ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და ამ მიზნების მიღწევის საშუალებები. ვინაიდან საგანმანათლებლო პროცესის მთავარი განმახორციელებელი საგანამანთლებლო პერსონალია, სწორედ ისინი წარმოადგენენ მთავარ განმსაზღვრელ პირს ბავშვისათვის ინდივიდუალური საგანმანათელბლო გეგმისა და საგანმანათლებლო მიზნების შედგენაში. სხვა სპეციალისტები (მაგალითად, სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი და კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტი და სხვა) კი ამ პროცესში მას ეხმარებიან. მაგალითად, უმნიშნელოვანესია მშობლის როლი და ჩართულობა ინდივიდუალური გეგმის შედგენისას ვინაიდან ინდივიდუალური მიზნები ოჯახის თავისებურებებსა და მოსაზრებებსაც უნდა ითვალისწინებდეს. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ აუცილებელია ბავშთან მუშაობის დროს თანმიმდევრული მიდგომების გამოყენება, როგორც ბაღში ასევს ბაღს გარეთ მომუშავე სპეციალისტისა ოჯახის მიერ, რეკომენდებულია ინდივიდუალური გეგმების მომზადებაში ჩართული იყოს გარე სერვისის მიმწოდებელი და მშობელი. ამისათვის საჭიროა, რომ ბაღს ქონდეს შემუშავებული გარე სპეციალისტსა თუ მომსახურების მიმწიდებელ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის შესახებ ინფორმაციის მიღება, შეთანხმება მიზნებსა და სტრატეგიებზე და ა.შ.

ბაღი თავისუფალია აირჩიოს პირველი ან მეორე მიდგომა, მაგრამ უფრო გავრცელებული პრაქტიკაა ორივე ვერსიის პარალელურად განხორციელება - ინდივიდუალური გეგმები მკვეთრად გამოხატული სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, ხოლო ინდივიდუალიზაცია ყველა იმ ბავშვისთვის ვინც განსაკუთრებულად იმეცნებს, ვინც თავისებურად გამოხატავს გრძნობების და შეიძლება ქცევის რეგულირება უჭირს, ვისაც საკუთარი თავის გამოხატვა სხვანაირად

ურჩევნია, ვინც იშვიათად იჩენს ინიციატივას და ერთვება სხვა ბავშვებთან ინტერაქციაში და ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროცესის მართვის მექანიზმში/წესში განსაზღვრული იყოს რომელ მიდგომას/მიდგომებს იყენებს ბაღი და შემდგომ, იმ მიდგომების გათვალისწინებით ჰქონდეს პრაქტიკა აწყობილი.

საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა

ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის საგანმანათლებლო რესურსების არსებობას, და მით უფრო, მათი საკმარისი რაოდენობით არსებობას გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ბაღი წინასწარ ფიქრობდეს:

- რა ტიპის საგანმანათლებლო რესურსი სჭირდება;
- როგორ დააორგანოზოს რესურსის შეუფერხებელი მიწოდება.

ამ თავში ძირითადად განხილული იქნებაა მზა საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა-მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხები. რაც შეეხება მეორად და ბუნებრივ რესურსებს, რეკომენდებულია ბაღს განსაზღვრული ჰქონდეს ამ რესურსების მოძიების გზა და მეთოდები. მეორადი მასალების მაგალითად შესაძლებელია განვიხილოთ თემში არსებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმები. თუ ბაღის გვერდით არის მარკეტი ან მაღაზია შესაძლებელია მუყაოს ყუთები, შესაფუთი ქაღალდები, ჩამოწერილი ან დაზიანებული სარეალიზაციოდ გამოუსადეგარი ნივთები ბაღმა გამოიყენოს მეორად მასალად, ან ახლომდებარე საოფისე ორგანიზაციის მეორადი საკანცელარიო საქონელი, ასევე თეატრების და კინოთეატრის მეორადი დეკორაციები და სხვა. მემორანდუმების ორმხრივი სარგებლისთვის ბაღს შეუძლია კერძო მოლაპარაკებები აწარმოოს თეში არსებულ ორგანიზაციებთან. რაც შეეხება ბუნებრივ მასალებს - მისი მოგროვება შესაძლებელია კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი ექსკურსიების დროს, ან მშობლების ჩართულობით, რომ ზღვის კენჭები გირჩები ფოთლები და სხვა არსებობის შემთხვევაში გაუზიარონ ბაღს.უფრო კონკრეტული რეკომენდაციების გაცემა არაგონივრულია ვინაიდან გასათვალისწინებელია ბაღის მდებარეობა, თემის მრავალფეროვნება და სხვა დამატებითი ფაქტორები, თუმცა ინსპირაციისთვის ჩამოთვლილი მიმართულებები მიმართულების მიმცემი იქნება.

საჭირო საგანმანათლებლო რესურსის და მათი მინიმალური რაოდენობის განსაზღვრა

დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მიერ შერჩეულ/შემუშავებულ კურიკულუმს. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი კურიკულუმის მიზანი ბავშვის ჰოლისტური განვითარებაა, სხვადასხვა კურიკულუმი შეიძლება ითხოვდეს მისთვის დამახასიათებელ საგანმაანთლებლო რესურსს. მაგალითად, მონტესორის სწავლების მიდგომა ითვალისწინებს სპეციფიკურ რესურსს, რომელიც ხელს უწყობს პრაქტიკულ და დამოუკიდებელ საქმიანობებს. მასალა, რომელიც მონტესორის აკრედიტირებულ/ლიცენზირებულ დაწესებულებებში გამოიყენება, ისეა შექმნილი, რომ ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად იპოვონ და გამოასწორონ შეცდომები, როდესაც რაღაც არ გამოდის. ხშირად ეს მასალა ასევე სხვადასხვა შეგრძნებების (ყნოსვა, გემო, შეხება, მხედველობა, სმენა) მასტიმულირებელია და ძირითადად ყველა სათამაშო თუ ნივთი კონკრეტული უნარის განვითარებას ემსახურება. მონტესორის მიდგომის მსგავსად ვალდორფის პედაგოგიკაც სპეციფიურ მასალას ითხოვს, რომელიც მათ საგანმანათლებლო ფილოსოფიას ასახავს. მეორეს მხრივ რეჯიო ემილიას მიდგომა არ მოითხოვს მონტესორის მსგავსად წინასწარ განსაზღვრული, სპეციფიკური მასალის გამოყენებას, თუმცა გამოყოფს მათი საგანმანათლებლო მეთოდის შესაბამისი რესურსის რამდენიმე ტიპს - ღია მასალა, ბუნებრივი და მეორადი მასალა, ხელოვნებისა და შემოქმედებისათვის საჭრო მასალა, დოკუმენტირებისთვის საჭირო რესურსი და სხვა. კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურის დაწესებულებას წინასწარ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული და დამტკიცებული. კურიკულუმი „თამაშის“ გამოყენების შემთხვევაში, ასეთი მინიმალური რესურსის ჩამონათვალი მოცემულია დანართის სახით. ბაღი თავისუფალია დატოვოს ეს ჩამონათვალი უცვლელი სახით ან დაამატოს სხვა ტიპის რესურსები ან ჩაანაცვლოს ალტერნატივებით.

იმ შემთხვევაში თუ ბაღი იყენებს სხვა შერჩეულ ან შექმნილ კურიკულმს ან აქვს კურიკულუმის ჩარჩო, მნიშვნელოვანია, რომ თავადვე შექმნას საგანმანათლებლო რესურსის მინიმალური ჩამონათვალი და დაამტკიცოს ის. შესაბამისად, საჭირო მინიმალური რესურსების განსაზღვრისას კურიკულუმის მიზნებისა და მეთოდოლოგიის გარდა, ბაღი შეიძლება დაფიქრდეს იმაზე თუ რა რესურსი შეიძლება იყოს საჭირო სხვადასხვა სფეროების განმავითარებელი გამოცდილებების უზრუნველსაყოფად. მაგ: მოტორიკის განვითარებისთვის რა რესურსი სჭირდება, ემოციურისთვის რა და ა.შ.

როგორც შერჩეული ასევე შემუშავებული კურიკულუმის შემთხვევაში მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ ბაღის მიერ განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის

ჩამონათვალი უზრუნველყოფდეს ბავშვის განვითარებას განვითარების ხუთივე სფეროში.
რესურსების შერჩევისას კიდევ ერთი საკითხი, რაც უნდა იქნას მხედველობაში მიღებული არის შემდეგი: რესურსები უნდა იყოს მრავალფეროვანი და მრავალგვარი.
მრავალფეროვნება ნიშნავს, რომ ბაღში არსებული რესურსი ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარებას. მაგალითად, მუსიკალური ინსტრუმენტები სმენისა და რიტმის შეგრძნების განვითარებისთვის და სახატავი საშუალებების წვრილი მოტორიკის და ფიზიკური შეგრძნებების განვითარებისთვის.
მრავალგვარობა ნიშნავს, რომ ბაღში კონკრეტული უნარის განვითარებისთვის თითოეული ტიპის რესურსი და მასალა უნდა იყოს მრავალნაირი. მაგ: ნატიფი მოტორიკის განვითარებისთვის ჯგუფში უნდა იყოს როგორც სახატავი საშუალებები, ასევე მოზაიკა, მცირე ზომის მძივები და თოკები, სხვადასხვა შესაკრავიანი (ელვა, ღილები, სხვა) ნივთები. მუსიკალური ინსტრუმენტების მრავალგვარობა გამოიხატება დასარტყამი, სიმიანი, კლავიშიანი თუ სხვა სახის ინსტრუმენტების არსებობაში, ხოლო სახატავი საშუალებების მრავალფეროვნება - სხვადასხვა ფაქტურისა და ფერის ფანქრების, მარკერების, ფლომასტერების, პასტელების, საღებავების არსებობაში.
აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ დასამტკიცებელი საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი შესაძლებელია განსაზღვრავდეს თითოეული სფეროს და თემატური მიმართულების განმავითარებელ მრავალფეროვან რესურსს და განსაზღვრული ჩამონათვალიდან თითოეულის მრავალგვარობას. მაგალითად: ბავშვის განვითარების ფიზიკური და სენსორული სფეროსთვის განისაზღვროს შემდეგი სახის მრავალფეროვნება და მრავალგვარობა:

- ბურთი - არანაკლებ 3 ზომის და არანაკლებ 4 სხვადასხვა ფაქტურის.
- კიბე/საფეხურები - არანაკლებ 2 განსხვავებული კონსტრუქციის
- ველოსიპედი - არანაკლებ 3 განსხვავებული ზომის, ორთვლიანი და სამთვლიანი;
- გადასახტომი მოწყობილობა - არანაკლებ 2 განსხვავებული სიმაღლის და კონსტრუქციის;
- გასაძრომი - სხვადასხვა სირთულისა და კონსტრუქციის;
- საცოცი - არანაკლებ 2 განსხვავებული კონსტრუქციის, ფაქტურის და ფერის;
- და სხვა.

აუცილებელია ამგვარი ჩამონათვალი შემუშავდეს ბავშვის განვითარების თითოეული სფეროსა და თემატური მიმართულების მიხედვით. აღნიშნულის სტრუქტურირებაში მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები.[2]

[2] ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N 488 დადგენილება

საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალის განსაზღვრაში აუცილებელია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პერსონალმა, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ იმ თანამშრომლებს ვინც ზუსტად იცის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის საჭიროებები, ბავშვების ინტერესები და საჭიროებები.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენ ვსაუბრობთ საგანმანათლებლო რესურსების მინიმალურ ჩამონათვალზე, რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესებულებას ყოველთვის შეუძლია გაამრავალფეროვნოს თავისი საგანამანათლებლო რესურსების სახეობის დაამატოს სხვადასხვა რაოდენობის, რესურსი. მაგრამ მთავარია, რომ ის მინიმალური რესურსი, რაც განსაზღვრული ექნება ბრძანებით მუდმივად იყოს ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესში.

ცხრილი N1: მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის სანიმუშო ჩამონათვალი

განვითარების სფერო/თემატური მიმართულება	მრავალფეროვანი რესურსის სავალდებულო ჩამონათვალი	მრავალგვარი რესურსის სავალდებულო რაოდენობა	რესურსის აღწერა
ფიზიკური და სენსორული განვითარება	სახატავი საშუალებები	არანაკლებ 3 განსხვავებული ფორმა	ფერადი ფანქარი ფლომასტერი საღებავი პასტელი
	კუბურები	არანაკლებ 3 განსხვავებული ზომის, ფაქტურის და ფორმის	ხის კუბურები გეომეტრიული პლასტმასის კუბურები დიდი ზომის ლეგო
	ველოსიპედი	არანაკლებ 3 განსხვავებული ზომის	ორთვლიანი, სამთვლიანი, სკუტერი სქროლი
სოციალურ-ემოციური განვითარება	ჯგუფური მუშაობის რესურსი	არანაკლებ 7 განსხვავებული შინაარსის	ფაზლი, ჭადრაკი, დომინო, კარტი, ფაზლი ლეგო მონოპოლი

	ემოციების იდენტიფიცირების რესურსი	არანაკლებ 2 რესურსი	ნიღბები ემოციების ამსახველი რესურსი
	როლური თამაშები	არანაკლებ 4 რესურსი	სამზარეულო სახელოსნო თეატრი ფერმა პროფესიის ფორმები

შესაძლებელია ბაღმა გამოიყენოს სხვაგვარი ფორმა საგანმანათლებლო რესურსის მინიმალური რაოდენობისა და სახეობების განსაზღვრისთვის.

ცხრილი N2: მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის რაოდენობა - ნიმუში

N	საგანმანათლებლო რესურსი და მინიმალური აღჭურვილობა	რაოდენობა	საზომი ერთეული	შენიშვნა	მახასიათებელი (არსებობის შემთხვევაში)
1	დიდი ზომის ხის კუბების (ბლოკების) ნაკრები	1	ნაკრები	ჯგუფზე	ხისგან დამზადებული
2	ხის კუბურების ნაკრები	2	ნაკრები	ჯგუფზე	
4	ხისა და კორპის დაფები	2	ცალი	ჯგუფზე	მაგ: ზომა 50*50 სმ
5	ქაღალდი	5	შეკვრა	ჯგუფზე	მაგ: თეთრი A4 ფორმატის, 500 ცალიანი შეკვრა
6	მაკრატელი	1	ცალი	2 ბავშვზე	საბავშვო მაკრატელი, პლასტმასის კიდეებით, სასურველია სხვადასხვა ფერის

ბაღს, ასევე განსაზღვრული უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო რესურსის მინიმალური რაოდენობა. თითოეულის შემთხვევაში ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ბაღი თავად ადგენს ბავშვების და ჯგუფების რაოდენობიდან გამომდინარე რამდენი საგანმანათლებლო რესრუსი ესაჭიროება და რა პერიოდულობით. აღნიშნული რაოდენობები განსაზღვრული უნდა იყოს საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალთან ერთადვე. შესაძლებელია საგანმანათლებლო რესურსების გაანგარიშებისას გამოყენებული იქნას სხვადასხვა მიდგომა. მაგ: ერთი რესურსი განსაზღვრული იქნას ბავშვზე, სხვა - ჯგუფზე და ა.შ.

გაითვალისწინეთ, რომ დღეს არსებული არცერთი შემუშავებული კურიკულუმი არ მოიცავს მზა სახით აღნიშნულ ცხრილს. ამიტომ მნიშვნელოვანია ბაღმა თავად შეადგინოს/სრულყოს ცხრილი და დაამტკიცოს ის კურიკულუმთან/კურიკულუმის ჩარჩოსთან ერთად.
მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ცხრილი ბაღს ასევე დაეხმარება ამ რესურსების შესყიდვის პროცესის ორგანიზებისთვის.

საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება

ბაღს გაწერილი უნდა ჰქონდეს როგორ ახდენს საგანმანათლებლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით შეუფერხებელ უზრუნველყოფას. აღნიშნული საკითხი შეიძლება დარეგულირებული ჰქონდეს ცალკე, საგანმანათლებლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმში, ან შეიძლება ეს საკითხი შეტანილი იყოს და წარმოადგენდეს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის ნაწილს. მნიშვნელოვანია პროცესი იმგვარად იყოს ორგანიზებული, რომ საგანმანათლებლო რესურსის მიწოდება იყოს მუდმივი უწყვეტი და თანმიმდევრული, რათა პროცესის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე რესურსის არ არსებობის ან შეყოვნების გამო. აღნიშნული საკითხის უნდა იკითხებოდეს ბაღის მექანიზმში: რესურსების ხარჯვისა და მოთხოვნის აღრიცხვის მუდმივობას უნდა ემთხვეოდეს რესურსის მიწოდების სიხშირე, და ეს პროცესები უნდა ქმნიდეს უწყვეტ ჯაჭვს.

მას შემდეგ რაც ბაღი განსაზღვრავს მინიმალურ საგანმანათლებლო რესურს, შემდგომ ეტაპზე უნდა განახორციელოს ამ რესურსის შეძენა. ამ მიმართულებით არსებობს ორი გზა:

- სატენდერო შესყიდვის განხორციელება;
- პირდაპირი შესყიდვების განხორციელება.

ბაღების დაფუძნების იურიდიული ფორმის მიხედვით, შესყიდვის გზა შეიძლება იყოს სხვადასხვა. შესაძლებელია ასევე, ჰიბრიდულად, ორივე მიდგომის გამოყენებაც. საჯარო ბაღების შემთხვევაში, ძირითადად მოქმედებს სატენდერო შესყიდვების პრაქტიკა. კერძო ბაღები ამ მხრივ მეტად მოქნილები არიან. მათ თავად შეუძლიათ გადაწყვიტონ ტენდერით შეიძენენ რესურსებს თუ პირდაპირი შესყიდვის გზით. ნებისმიერ შემთხვევაში, რომელი გზა/გზებიც არ უნდა ჰქონდეს არჩეული დაწესებულებას, მნიშვნელოვანია, რომ ეს მიდგომა დაფიქსირებული იყოს შესაბამის რეგულაციაში.

შემდგომ ეტაპზე ბაღმა უნდა განსაზღვროს როგორ ახდენს ინფორმაციის მიღებას საჭირო რესურსების შესახებ და როგორ ახდენს ამ რესურსების მიწოდებას. მაგ:

საჯარო დაწესებულებამ შეიძლება გაწეროს ასეთი სქემა:



ევაში შეიძლება გაიწეროს ასეთი სქემა:



სქემით განსაზღვრულ ეტაპებთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი გარემოებები:

მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ბაღების მიხედვით - როგორც ზემოთ აღინიშნა, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი ბაღს წინასწარ აქვს განსაზღვრული და დამტკიცებული კურიკულუმთან/კურიკულუმის ჩარჩოსთან ერთად. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული რესურსის ნაწილი ხარჯვადია (მაგ: ფერადი ქაღალდი, ფანქარი და სხვ), ხოლო ნაწილი მხოლოდ ცვეთას განიცდის და შესაძლებელია მათი მრავალჯერადი გამოყენება (მაგ: ხის კუბურები, მაკრატელი და სხვ.) მნიშვნელოვანია ბაღმა ყოველწლიურად/წელიწადში ორჯერ (ან იმ სიხშირით, რა სიხშირითაც თავისი პრაქტიკიდან გამომდინარე ახორციელებს შესყიდვებს) შეაგროვოს ინფორმაცია თითოეული ბაღიდან მიმდინარე შესყიდვისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსის შესახებ. ამ ეტაპის განხორციელებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პერიოდული ინვენტარიზაციები, რომლებიც სქემების ბოლო ეტაპად არის წარმოდგენილი.

ასევე, შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს წლიდან წლამდე ბავშვების რაოდენობის (შემცირება/გაზრდა), ასაკობრივი ჯგუფების ცვლილების, კურიკულუმის ან/და მისი ცვლილების, დაკვირვების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების, არსებული რესურსის მდგომარეობის, რესურსების არსებული მარაგების გათვალისწინებით, რესურსის გამრავალფეროვნების მიმართულებით და სხვ.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბაღს თითოეული ეტაპის განხორციელების დასტურად გააჩნდეს კონკრეტული მტკიცებულებები. მაგ: ბაღიდან გამოთხოვილი

საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, ინვენტარიზაციის აქტები, შესყიდვის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სატენდერო შესყიდვის დოკუმენტაცია ან პირდაპირი შესყიდვის შემთხვევაში, შესაბამისი გაწეული ხარჯის ამსახველი დოკუმენტაცია), შეძენილი რესურსების მიღების დოკუმენტაცია, ამ რესურსების ბაღებში განაწილების მიღება-ჩაბარების აქტები (ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია), რესურსის ჯგუფში განაწილების მტკიცებულება (მაგ: საგანმანათლებლო პერსონალის ხელმოწერილი აქტი, რომ ჩაიბარა კონკრეტული საგანმანათლებლო რესურსი) და სხვ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული სქემები არის სარეკომენდაციო და ბაღი უფლებამოსილია თავისი პრაქტიკის შესაბამისად შეცვალოს ის ან გაწეროს სრულიად სხვაგვარი სქემა. მთავარია პროცესი აწყობილი იყოს ისეთნაირად რომ საგანმანათლებლო პროცესი არ შეფერხდეს რესურსის არ არსებობის ან არასაკმარისი რაოდენობით არსებობის გამო. რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი სასურველია იყოს მოქნილი და ერგებოდეს დაწესებულებისა და კურიკულუმის საჭიროებებს. რეკომენდებული მიდგომაა, მექანიზმს ჰქონდეს ცვლილების საჭიროების ასახვის შესაძლებლობა, რაც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს რამდენიმე ხერხით: ა) რესურსების შესყიდვის გეგმის მიღმა არსებობდეს საგანმანათლებლო რესურსებისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი ბავშვების ინტერესებისა და კურიკულუმის დაუგეგმავი საჭიროებისთვის, ბ) დამატებით, რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმში ასახული უნდა იყოს რა დამატებით ალტერნატიულ გზებს იყენებს ბაღი საგანმანათლებლო რესურსების მოსაძიებლად. ეს შეიძლება იყოს მოგროვება, დონაცია, დამზადება და სხვა.

გარემოს ფიზიკური მოწყობა

ფიზიკური გარემოს შესაბამისად მოწყობა კურიკულუმის ეფექტურად განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას, რომ ფიზიკური გარემოს მოწყობაში ბევრი უწყება და ორგანიზაცია მონაწილეობს. ამას გარდა გარემოს მოწყობა დაწესებულების თანამშრომლების და მისი საგანმანათლებლო პერსონალის პრეროგატივაცაა. სწორედ საგანმანათლებლო პერსონალია ის, ვინც ჯგუფს და ეზოს/გარე სივრცეს კურიკულუმის, ასევე მისი ჯგუფის ინტერესებისა და თავისებურებების გათვალისწინებით უნდა აწყობდეს. ამას გარდა მასალების მოფიქრება, რესურსის შეტანა და განთავსება სრულად უნდა გამომდინარეობდეს ჯგუფების საჭიროებებიდან, შესაბამისად, ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ უნდა იყოს შერჩეული და განთავსებული.

კურიკულუმის განხორციელების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს გარემოში ცვლილებების შეტანა. ეს საჭიროება შეიძლება იყოს:

- **ბავშვების ინდივიდუალური საჭიროება** - მაგალითად, სენსორული საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშვნების შეცვლა და ტაქტილური მინიშნებების გამოყენება;
- **ბავშვების ინტერესები** - მაგალითად, ჯგუფურ ოთახში ლაბორატორიის მოწყობა;
- **ბავშვების ინდივიდუალური თავისებურება** - მაგალითად, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვის ჩარიცხვის შემდეგ, მოამარაგოთ ჯგუფი შესაბამისი ენის წიგნებით;
- **დაგეგმილი აქტივობები და თამაშები** - მაგალითად, პროექტის შემაჯამებელი აქტივობისთვის ოთახის თემატურად გადაკეთება.

დაწესებულება არა მხოლოდ ჯგუფურ ოთახს, არამედ გარე სივრცესაც უნდა აღიქვამდეს როგორც კურიკულუმის განხორციელების ადგილს და მიზნების მიღწევის საშუალებას. შესაბამისად, გარე სივრცის მოწყობა უნდა შეესაბამებოდეს კურიკულუმის სპეციფიკას და ხელს უნდა უწყობდეს მრავალფეროვანი აქტივობებისა და თამაშის განხორციელებას.

და ბოლოს, როგორც შიდა, ისე გარე სივრცე უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის ჰოლისტურ, მრავალმხრივ განვითარებას. დაწესებულება <u>არ უნდა ახდენდეს</u> სივრცეების აგრეგაციას შემდეგნაირად: **გარე სივრცე** - მხოლოდ ფიზიკური მოძრაობისთვის და **შიდა სივრცე** -მხოლოდ სამაგიდე ან წყნარი თამაშებისთვის.

ფიზიკური გარემოს შეფასება და პერიოდული განახლება კურიკულუმის შეფასების და განვითარების ერთ-ერთი საშუალებაცაა. აღნიშნული საკითხი დეტალურად არის განხილული „კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია“.

ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდების გამოყენება

საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის კურიკულუმის შერჩევის, გეგმების შედგენის, საგანმანათლებლო რესურსის უზრუნველყოფისა და გარემოს მოწყობის გარდა, უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებას, რადგან სწორედ დაკვირვების საშუალებით ვიღებთ იმ ინფორმაციას, რაც საგანმანათლებლო პროცესის ბავშვების ინტერესებსა და თავისებურებებზე მორგებაში გვეხმარება. კურიკულუმისა თუ საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობის შეფასებისა თუ ბავშვების მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია დაწესებულებაში მოქმედებდეს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების თანმიმდევრული პრაქტიკა.

ბავშვის შეფასება არის ბავშვების ინტერესების, საჭიროებების, განვითარების შესახებ დასკვნების გამოტანა მრავალფეროვანი მეთოდების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.
შეფასების მრავალფეროვან მეთოდებში იგულისხმება ჩანაწერების გაკეთება, მოკლე კითხვარების, ჩექლისტების, სკალების, ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება. ეს მრავალფეროვნება ბავშვების სწავლის, განვითარებისა და საგანმანათლებლო პროცესში მათი მონაწილეობის უფრო მრავალმხრივ სურათის დანახვის შესაძლებლობას იძლევა. ხოლო ვინაიდან, ბავშვების შესახებ ინფორმაციის მიღების საუკეთესო საშუალება მათზე დაკვირვებაა, ეს უკანასკნელი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეფასებასთან.

ბავშვებზე დაკვირვება გულისხმობს ბავშვების შესახებ ახალი, საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტების დანახვას და ამ ფაქტების დოკუმენტირებას (ჩაწერას). დაკვირვება არის იმის დაფიქსირება თუ რას აკეთებს ან ამბობს ბავშვი, ეს კი ეხმარება უფროსს უკეთ გაიცნოს ბავშვი, აღმოაჩინოს ის, რაც ერთი შეხედვით არ ჩანს, მეტი შეიტყოს ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების, ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობების შესახებ.
დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია ადრეული განათლების სპეციალისტებს სათანადო გადაწყვეტილებების მიღებაშიც ეხმარება, რაც ბავშვებისათვის დღის საქმიანობების დაგეგმვასთან, მათი პროგრესის და ზოგადად, პროგრამის ეფექტიანობის შეფასებასთან არის დაკავშირებული. სწორედ ეს კომპონენტები ქმნის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების უწყვეტ ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება. ასევე, ბავშვებისათვის მასალების სწორად შერჩევისათვის, ისეთი თემებისა და პროექტების განხორციელებისათვის, რაც ბავშვების აქტიურ მონაწილეობას და ჩართვას უზრუნველყოფს, საგანმანათლებლო პერსონალი უნდა იცნობდეს მათ ძლიერ მხარეებს, განვითარებად უნარებს, საყვარელ საქმიანობებს და ინტერესებს. ამის საუკეთესო საშუალება კი დაკვირვებაა.
ბავშვზე დაკვირვების დროს საგანმანათლებლო პერსონალი ცდილობს დაინახოს როგორ მოქმედებს ბავშვი კონკრეტულ გარემოში და სიტუაციაში, რას გვეუბნება ბავშვი ვერბალურად თუ არავერბალურად და როგორ ურთიერთკავშირს ამყარებს ის სხვებთან. რა ინტერესების აქვს, რომელ სფეროში ესაჭიროება დამატებითი ხელშეწყობა და სად გრძნობს თავს კომფორტულად. დაკვირვებისას დანახული ინფორმაცია კი აუცილებლად დაკვირვების ჩანაწერებში უნდა აისახოს, რომელსაც საგანმანათლებლო პერსონალი თითოეულ ბავშვზე აწარმოებს.
მნიშვნელოვანია, რომ დაკვირვების ჩანაწერები იყოს ობიექტური, მიკერძოებული ფრაზების, სუბიექტური დამოკიდებულებების და იარლიყების გარეშე. მხოლოდ ამ ობიექტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდება სწორი ანალიზი, მისი ინტერპრეტაცია და შეფასება.

დაკვირვება ყოველდღიური პროცესია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პერსონალი მთელი დღის მანძილზე უნდა აკვირდებოდეს და აუცილებლად ყველა ბავშვზე უნდა მოახერხოს დაკვირვება დღის ან თუნდაც კვირის მანძილზე. იმისათვის, რომ დაკვირვება იყოს კარგად ორგანიზებული, თანმიმდევრული და ინფორმატიული საგანმანათლებლო პერსონალს შეუძლია შეიმუშავოს ბავშვებზე და მათ საქმიანობაზე დაკვირვების ერთგვარი სისტემა, რომლითაც წინასწარ განსაზღვრავს ბავშვების რომელ ჯგუფს და რა ცალკეულ უნარს, თუ თამაშს დააკვირდება კვირის მანძილზე. ასეთი წინასწარ დაგეგმილი სისტემის არსებობის პირობებში, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა საგანმანათლებლო პერსონალმა მნიშვნელოვანი რამ შეამჩნიოს იმ ბავშვს, რომელზე დაკვირვებაც არ ქონდა დაგეგმილი იმ დღეს სისტემის მიხედვით და მოუწიოს ე.წ. სპონტანური დაკვირვების წარმოება.
ბავშვების უნარებსა და პროგრესზე ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვანი დაკვირვების ჩანაწერები ბავშვის განვითარების სტანდარტში მოცემულ ინდიკატორებს დავუკავშიროთ. ეს კი ორი გზით არის შესაძლებელი. პირველ შემთხვევაში უფროსი აკვირდება ბავშვს კონკრეტულ მომენტში, აკეთებს ჩანაწერს და შემდეგ იწყებს ფიქრს, თუ რომელი სფეროს, რომელი ინდიკატორი ვლინდება დაკვირვების შედეგად. მეორე შემთხვევაში კი საგანმანათლებლო პერსონალი სანამ დაიწყებს ბავშვზე დაკვირვებას წინასწარ საზღვრავს თუ რა სფეროს, რომელ ინდიკატორს დააკვირდება კონკრეტულ ბავშვთან. ეს კი განსაკუთრებით გამოსადეგია ბავშვების შეფასებისას.

ბავშვების შეფასება და შესაბამისად მათზე დაკვირვება უნდა იყოს თანმიმდევრული რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვზე დაკვირვება არ უნდა იყოს ერთჯერადი, ან ძალიან იშვიათი, უნდა ეხებოდეს ყველა ბავშვს და პროცესი თანმიმდევრულად უნდა იყოს დაგეგმილი. მხოლოდ ასეა შესაძლებელი ბავშვების განვითარების სრული სურათის დანახვა, რათა უწყვეტად ხდებოდეს შედეგების (მონაცემების ანალიზის და დასკვნების) ასახვა და მათი გამოყენება შემდგომი დაგეგმვის და განხორციელების პროცესში.

არსებობს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების სხვადასხვანაირი ტექნიკა, ფორმა თუ ინსტრუმენტი. მაგალითად, ხშირ შემთხვევაში საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს დაკვირვების ჩანაწერებს, რომლებიც, როგორც ზემოთაა აღნიშნული უნდა იყოს ობიექტური და შეიძლება იწერებოდეს აღწერილი მოვლენის მიმდინარეობის პარალელურად (აღმზრდელი აკვირდება და თან იწერს) ან კონკრეტული შემთხვევის დასრულების შემდეგ მალევე (აღმზრდელი ჯერ აკვირდება და ჩანაწერს მოგვიანებით აკეთებს). სწრაფი ჩანიშვნის ცხრილები (ე.წ. ჩექლისტი), ცხრილები, მოკლე

კითხვარები (მათ შორის მშობლებისთვის) ასევე განეკუთვნება ბავშვის შეფასებისათვის მნიშნელოვანი ინფორმაციის შეგროვებისა და ამ ინფორმაციის ასახვის ალტერნატივებს.

შეფასების ფორმის შერჩევისას ბაღი თავისუფალია, თუმცა მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც შეფასება უნდა უზრუნველყოფდეს:

- ბავშვის ინტერესების გამოვლენას - საგანმანათლებლო პერსონალი უკეთ გაიცნობს ბავშვების ინსტერესის სფეროებს და საყვარელ საქმიანობებს, რაც ისეთი გამოცდილებების დაგეგმვის საშუალებას იძლევა, რომელშიც ბავშვები მეტი ხალისით ჩაერთვებიან. ბავშვის საჭიროებების შეფასებას - ბავშვების საჭიროებების ცოდნა ეხმარება პრაქტიკოსებს საგანმანათლებლო პროცესის იმგვარად დაგეგმვასა და წარმართვაში, რომ მოხდეს ამ საჭიროებების დაკმაყოფილება. მნიშვნელოვანია, რომ საჭიროება არ ნიშნავს აუცილებლად განვითარების შეფერხებას. ბავშვის საჭიროება შეიძლება სწორედ იმით იყოს გამოწვეული, რომ მისი უნარები იმაზე უფრო განვითარებულია, ვიდრე ეს სახელმწიფო სტანდარტის კონკრეტული ასაკის ინდიკატორებითაა განსაზღვრული.
- ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში - პროგრესის შესახებ ინფორმაცია ყველაზე კარგ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ თუ რამდენად ეფექტურია მომსახურება და რამდენად ხდება კურიკულუმისა თუ სხვა დასახული მიზნების მიღწევა. ბავშვის პროგრესის დასანახად მნიშვნელოვანი არსებობდეს მტკიცებულებები, რომელიც ბავშვის განვითარების შედეგების დროში შედარების საშუალებას მოგვცემს. შესაბამისად მსგავსი მტკიცებულებები უნდა გროვდებოდეს რეგულარულად. ბავშვის პროგრესის დანახვა ასევე ეხმარება საგანმანათლებლო პერსონალს იმის იდენტიფიცირებაში თუ რა მიმართულებით უნდა იმუშაოს ცალკეულ ბავშვთან.

ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში - ოჯახების ჩართულობა შეფასების პროცესში გულისხმობს როგორც ოჯახებისგან ინფორმაციის მიღებას ასევე მათთვის გარკვეული შედეგების გაზიარებას. ბუნებრივია, რომ ის ადამიანები ვისთან ერთადაც ცხოვრობს ბავშვი იცნობენ მის ინტერესებს, თავისებურებებს და საჭიროებებს და შესაბამისად, ოჯახები ბავშვების შესახებ ინფორმაციის მნიშნელოვან წყაროს წარმოადგენენ. მშობლებისგან ინფორმაციის მიღებისთვისაც შეიძლება მრავალგვარი ინსტრუმენტი არსებობდეს. ეს შეიძლება იყოს დამოუკიდებლად შესავსები კითხვარი ბავშვის შესაძლებლობების და თავისებურებების შესახებ, ოჯახთან შეხვედრის ჩანაწერები ან/და სხვა ამ მიზნების მისაღწევად ბაღს შესაძლებელია ჰქონდეს შეფასების ერთი ფორმა, ან ჰქონდეს რამდენიმე ფორმა თითოეული მიმართულების მიხედვით.

ასევე, ბაღი უფლებამოსილია თავად შექმნას შეფასების ინსტრუმენტი ან გამოიყენოს უკვე არსებული ინსტრუმენტები. გასათვალისწინებელია, რომ მზა ინსტრუმენტების გამოყენების შემთხვევაში როგორიც არის მაგალითად ASQ, შემფასებელს გააჩნდეს შესაბამისი კომპეტენცია და ინსტრუმენტი იყოს ადაპტირებული და ვალიდური. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების ფორმები/ინსტრუმენტები იყოს ფორმალური და შესაბამისად, დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ.

ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პრაქტიკის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია მიღებული შედეგების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის ან მისი მოდიფიცირებისთვის/კორექტირებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ შეფასების სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე ბევრი სხვა პროცესია მიბმული, მნიშვნელოვანია მას ჰქონდეს რეგულარული, სისტემური და დროში გაწერილი ხასიათი. აღნიშნულის მისაღწევად რეკომენდებულია ბაღმა დაადგინოს შეფასებების განხორციელების სიხშირე, მათი ხასიათის ფორმალურობა და განხორციელების ხანგრძლივობა. შეფასების განხორციელების სარეკომენდაციო ნიმუში მოცემულია N2 ცხრილში.

შეფასების მიზანი	**განმახორციელებელი**	**განხორციელების სიხშირე**	**შესაძლო მტკიცებულება**	**ტიპი**
ბავშვზე დაკვირვება	აღმზრდელი/ აღმზრდელ-პედაგოგი	რეგულარულად	აღმზრდელი/ აღმზრდელ-პედაგოგის ჩანაწერები/ჩანიშვნები. გროვდება ბავშვის პორტფოლიოში.	არაოფიციალური[3]
ბავშვის ინტერესების გამოვლენა	აღმზრდელი/ აღმზრდელ-პედაგოგი	რეგულარულად	აღმზრდელი/ აღმზრდელ-პედაგოგის ჩანაწერები/ჩანიშვნები, გეგმებზე მინაწერები/შეფასების შევსებული ინსტრუმენტები. გროვდება ბავშვის/აღმზრდელის პორტფოლიოში.	არაოფიციალური

[3] არ საჭიროებს დამტკიცებას

ბავშვის საჭიროებების გამოვლენა	აღმზრდელი/ აღმზრდელ-პედაგოგი	რეგულარულად	აღმზრდელი/ აღმზრდელ-პედაგოგის ჩანაწერები/ჩანიშვნები, გეგმებზე მინაწერები/შეფასების შევსებული ინსტრუმენტები. გროვდება ბავშვის/აღმზრდელის პორტფოლიოში.	არაოფიციალური
ბავშვის პროგრესის შეფასება განვითარების ყველა სფეროში	აღმზრდელი/ აღმზრდელ-პედაგოგი	წლის მანძილზე არანაკლებ 2-ჯერ [4]	შევსებული შეფასების ინსტრუმენტი	ოფიციალური

როგორც ზემოთ აღწერილი პროცესიდან გამოჩნდა, შეფასების განხორციელების მტკიცებულებები თავს იყრის ბავშვის ან/და აღმზრდელის/აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიოში. ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს მოგროვილ ინფორმაციაზე რეაგირება. რიგ შემთხვევებში, ბავშვზე დაკვირვების, მათი ინტერესებისა და საჭიროების გამოვლენაზე რეაგირება ხდება მოკლევადიან ასპექტში და გამოიხატება მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირებაში. რიგ შემთხვევებში კი შეიძლება გაკეთდეს მონიშვნები და მიღებული შედეგები გათვალისწინებული იქნას გრძელვადიანი გეგმების შედგენის/კორექტირების დრო, საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს, ბაღის სამოქმედო გეგმის შედგენის დროს და სხვ.

ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგები აუცილებლად უნდა იყოს განხილული მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან იმ სიხშირით, რა სიხშირითაც ეს შეფასება ტარდება (არანაკლებ წელიწადში ორჯერ). ამისთვის, საკომუნიკაციო გეგმაში (მესამე სტანდარტი) ბაღს უნდა ჰქონდეს გაწერილი მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები ბავშვის განვითარების პროგრესის განხილვის მიზნით. ბუნებრივია, ამ საუბრების დროს ასევე გაზიარდება ბავშვზე დაკვირვების, მისი საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ ინფორმაცია. რეკომენდებულია მშობელი და აღმზრდელი ერთად შეთანხმდნენ კონკრეტული აქტივობების განხორციელებაზე, რომელიც ერთობლივი

[4] იცლება ბაღის პრაქტიკის შესაბამისად

ძალისხმევით უკეთ წაადგება ბავშვის განვითარებას. ასევე, შესაძლებელია, ბავშვის უკეთ შეფასების მიზნით აღმზრდელს აინტერესებდეს მისი ქცევა სახლში კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში და სთხოვოს მშობელს ამ თემებზე ინფორმაციის მიწოდება. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვის შეფასების შედეგებზე საუბარი უნდა იყოს კონფიდენციალური და ხორციელდებოდეს ინდივიდუალურად კონკრეტული ბავშვის მშობელთან.
ბავშვების შეფასების შედეგები ასევე შესაძლოა გახდეს ინსპირაცია მშობლებთან საერთო შეხვედრების მიზნით თემების შერჩევის საკითხში.

პორტფოლიოების წარმოება

დოკუმენტაციის წარმოების საუკეთესო გზა ინდივიდუალური პორტფოლიოა. დაწესებულებაში უნდა გამოიყენებოდეს ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო, აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო და სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პორტფოლიოს დანიშნულება და მნიშვნელობა

პორტფოლიო მნიშვნელოვანი ინფორმაციის სისტემური და ორგანიზებული შეგროვების, შენახვისა და გაზიარების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში. ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო იძლევა ცალკეული ბავშვის პროგრესის ობიექტურად აღწერის საშუალებას. საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოები კი თავს უყრის იმ ინფორმაციას თუ მნიშვნელოვან დოკუმენტებს/მტკიცებულებებს, რომელიც სჭირდება მას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა თუ წარმართვისას.

ავტორიზაციის სტანდარტი გამოყოფს პორტფოლიოს რამდენიმე ტიპს:

- აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის კრებულს. ეს დოკუმენტაცია შეიძლება მოიცავდეს:
    - **დღის განრიგი** ჯგუფში მიმდინარე პროცესების თანმიმდევრული აღწერაა, რომელიც საგანმანათლებლო პროცესს უფრო ორგანიზებულს და პროგნოზირებადს ხდის. ეს კი ერთის მხრივ ეხმარება ბავშვებს, რომ მათ დაცულან იგრძნონ თავი, ხოლო მეორეს მხრივ საშუალებას აძლევს საგანმანათლებლო პერსონალს უკეთ დაგეგმონ დღე, სწორად გაანაწილონ დრო, მოემზადონ შესაბამისი აქტივობისა თუ გამოწვევისთვის და სხვა. დღის განრიგი ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ იძლეოდეს ცვლილებების საშუალებას, იყოს პროგნოზირებადი და საქმიანობების თანმიმდევრობა მრავალფეროვანს გამოცდილებებს

სთავაზობდეს ბავშვებს. შესაბამისად, უმჯობესია რომ ყველა ჯგუფს საკუთარი განრიგი ქონდეს, რომელსაც თავად ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალი იმუშავებს, რადგან სწორედ მან იცის ყველაზე კარგად, როგორია ბავშვების საჭიროებები, დღის რომელი მონაკვეთი როგორ ჯობია დაიგეგმოს და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში, განრიგის გაწერაში დაწესებულების მეთოდისტი ჩაერთვება. მათი როლი შეიძლება ჯგუფების განრიგების დაკოორდინირება იყოს, ისე რომ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს განსაკუთრებით ისეთი, კომპონენტები, რომელიც საერთოა სხვადასხვა ჯგუფებში, მაგალითად: ეზოში თამაშის დრო, დარბაზში თამაში და სხვა. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ დღის განრიგში კომპონენტები, რომელიც საერთოა მთელი ბაღისთვის, იყოს დასინქრონებული (მაგ: კვების დრო).

- **გეგმები** - საგანმანათლებლო პროცესისა და ბავშების ინდივიდუალური გეგმები საგანმანათლებლო პერსონალის უმნიშვნელოვანესი სამუშაო დოკუმენტია, რომელსაც ის შეიძლება ყოველდღიურად ამუშავებდეს. შესაბამისად, ეს დოკუმენტები, რომლებიც უფრო დეტალური ზემოთ არის განხილული) საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს ნაწილს წარმოადგენს.
- **რეფლექსური ჩანაწერები** - წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და გააზრების ერთ-ერთ ინსტრუმენტს, სადაც თავმოყრილია როგორც ბავშვებზე ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები, ასევე პერსონალის სუბიექტური შეხედულებები, მოსაზრებები და დასკვნები როგორც ცალკეულ ბავშვზე, ასევე, ბავშვების ჯგუფებზე, თუ საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა კომპონენტებზე. რეფლექსური ჩანაწერების წარმოება ბავშვზე დაკვირვების ობიექტური ჩანაწერების გაცნობით იწყება, რის შემდეგაც საგანმანათლებლო პერსონალი ცდილობს ჩანაწერებში იპოვოს ინფორმაციას იმის შესახებ თუ როგორ მიმდინარეობს მის მიერ დაგეგმილი თამაშები, როგორ იყენებენ ბავშვები ფიზიკურ სივრცესა და რესურსს რამდენად საინტერესო იყო შეთავაზებული თამაშები თუ გამოწვევები და ა.შ. ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ მას შეუძლია ჩაწეროს საკუთარი მსჯელობა, დასკვნები და მიღებული გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გააუმჯობესოს საკუთარი პრაქტიკა. მნიშნელოვანია რეფლექსური ჩანაწერი ღირებულ ფაქტებს ასახავდეს და რეგულარულად ხდებოდეს მათი გადახედვა საგანმანათლებლო პროცესის ხელახალი დაგეგმვის ან შეფასების მიზნით. რეფლექსურ ჩანაწერებში ასევე უნდა იყოს ინფორმაცია იმაზე თუ როგორ აფასებს საკუთარ საქმიანობას და პრაქტიკას საგანმანათლებლო პერსონალი. საგანმანათლებლო

პერსონალი თავისუფალია აირჩიოს რა ფორმით გააკეთებს რეფლექსურ ჩანაწერებს. საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა რეფლექსური დღიურების წარმოება.

- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პორტფილიო თუ დაწესებულებაში დასაქმებულია სხვა საგანმანათლებლო პერსონალი მას ასევე სჭირდება პორტფოლიო. გარდა იმ დოკუმენტებისა, რომლებიც აღმზრდელ-პედაგოგისა თუ აღმზრდელის პორტფოლიოშია წარმოდგენილი, სხვა საგნმანათლებლო პერსონალს შეიძლება დამატებით ქონდეს უშუალოდ მისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო დოკუმენტაცია თუ ინფორმაცია.

- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები

ინდივიდუალური პორტფოლიო ბავშვის გამოცდილებების და ნამუშევრების შეგროვების სისტემაა, რაც მისი განვითარების და სწავლის პროგრესს ასახავს. ინდივიდუალური პორტფოლიო ბავშვის სხვადასხვა ტიპის მიღწევების, შესაძლებლობების, ინტერესების, საჭიროებების შესახებ მტკიცებულებების ერთობლიობაა, რომელიც აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

• ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს;

• ჩანაწერებს ბავშვის ნამუშევრის შესახებ (მაგ. ბავშვის მიერ აღწერილი ნამუშევარი, ბავშვის მიერ მოგონილი ამბავი);

• ბავშვის ნამუშევრებს (მაგ. ნახატი, აპლიკაცია, კოლაჟი, ნაწერი, ნაჯღაბნი); ბავშვის ნამუშევრის ფოტოებს (მაგ. კონსტრუქცია); ბავშვების ფოტოებს სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს; ბავშვის მონაწილეობის შესახებ აუდიო/ვიდეო ჩანაწერებს (მაგ. ბავშვის მონაყოლი) და სხვ.

დაწესებულება ყველა ბავშვისთვის უნდა აწარმოებდეს ინდივიდუალურ პორტფოლიოს. პორტფოლიო შეიძლება არსებობდეს მატერიალური ან ციფრული სახით. ციფრული პორტფოლიოების უპირატესობაა მათი შენახვის და ორგანიზების სიმარტივე, ასევე შენახვის გრძელვადიანი შესაძლებლობა.

ასევე, განსაზღვრული უნდა ჰქონდეს პორტფოლიოების წარმოების ფორმა, შენახვის ვადა ან/და მისი გაცემის წესი. აღნიშნული ასახული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროცესის მართვის მექანიზმში/წესში. ეს პროცესი შეიძლება ასეთი სახით იყოს წარმოდგენილი:

- დაწესებულებაში პორტფოლიოები იწარმოება მატერიალური/ციფრული სახით;
- თითოეული ბავშვისთვის გამოყენებულია ინდივიდუალური პორტფოლიო;
- პორტფოლიო იხსნება საგანმანათლებლო წლის დასაწყისში და იხურება წლის ბოლოს;

- პორტფოლიოდან შერჩეული ნამუშევრები წლის განმავლობაში პერმანენტულად უზიარდებათ მშობლებს/ვატანთ ბავშვებს;
- ბავშვის პორტფოლიო გაიცემა:
  ა) წლის ბოლოს, მშობლის სურვილის შემთხვევაში;
  ბ) ბავშვის ბაღიდან ამორიცხვის შემთხვევაში;
  გ) სასკოლო მზაობის ჯგუფის დასრულების შემდგომ.
- გაუცემელი პროტფოლიოების შენახვის ვადაა ერთი წელი.
- გაუცემელი პორტფოლიოები (მატერიალური სახით) ექვემდებარება ფიზიკურ განადგურებას / გაუცემელი პორტფოლიოები (ციფრული სახით) ექვემდებარება წაშლას ყველა ელექტრონული მატარებლიდან.
- დასაშვებია კონკრეტული პორტფოლიოების გრძელვადიანი შენახვა ბაღის საუკეთესო პრაქტიკის ილუსტრაციის მიზნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პორტფოლიოდან ამოღებული იქნება ყველა სახის პერსონალური მონაცემი.

საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება

დაწესებულება მუდმივად უნდა აფასებდეს მასში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს.

საგანმანათლებლო პროცესის შეფასება გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა მახასიათებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ამ ინფორმაციის ანალიზს იმის დასადგენად, თუ რამდენად უწყობს ხელს პროცესის სხვადასხვა კომპონენტები კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ანალიზის საფუძველზე დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს:

- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერი მხარეები - რა გაკეთდა კარგად, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი პროცესის უკეთესად განხორციელებას.
- გამოწვევები და ის ასპექტები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას - რა იყო ნაკლებად ეფექტური, რატომ ვერ გავედით კონკრეტულ შედეგზე, რა ფაქტორებმა შეგვიშალა ხელი გეგმებში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.
- რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის, სადაც წარმოდგენილი იქნება კონკრეტული, დროში გაწერილი ნაბიჯები და ის ცვლილებები, რაც დაწესებულებამ უნდა განახორციელოს საგანმანათლებლო პროცესის უკეთ განხორციელებისათვის.

დაწესებულებას შეუძლია შეაფასოს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგი მახასიათებლები/ასპექტები/კომპონენტები: დაგეგმვა, განხორციელებული აქტივობები, რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული

საქმიანობებისა თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობა, ბავშვებზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება, ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების საქმიანობებში ჩართვის ხარისხი, გამოყენებული მიდგომები (ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება), აღმზრდელის სტრატეგიები და სხვა. ამ კომპონენტების შეფასების ერთობლიობა მისცემს დაწესებულებას ინფორმაცის იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი.

პროცესის შეფასება უნდა ხორციელდებოდეს საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვებზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე. მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია კი პერიოდულად უნდა გაანალიზდეს. ლოგიკურია, ინფორმაციის ანალიზი დაკავშირებული იყოს დაწესებულებაში გრძელვადიანი გეგმების შედგენის პერიოდულობასთან. ასე მაგალითად, თუ დაწესებულებაში ორჯერ იქმნება გრძელვადიანი გეგმები (სექტემბერი, იანვარი), მაშინ ანალიზი უნდა განხორციელდეს წინსწრებით, დეკემბერსა და ივლისში/აგვისტოში.

მნიშვნელოვანია ანალიზის პროცესში გაკეთებული მიგნებები და გამოწვევები აისახოს დოკუმენტურად. ანგარიში შეიძლება იყოს ვრცელი, სადაც შეფასების პროცესი, მიგნებები და რეკომენდაციები დეტალურად იქნება წარმოდგენილი. თუმცა, გაზიარების მიზნით შეფასების გუნდს შეუძლია შედარებით მოკლე ანგარიშის წარდგენა, სადაც მოცემული იქნება მხოლოდ ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

ასევე, მნიშვნელოვანია, ამ პროცესს ჰყავდეს პასუხისმგებელი პირი დირექტორის მოადგილის/მეთოდისტის სახით. ანალიზის შედეგების შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს როგორც დოკუმენტების ფორმალური, ისე შინაარსობრივი ცვლილება. ფორმალური ცვლილება დაკავშირებულია გეგმების ფორმებთან, სტრუქტურასთან, შეფასების ინსტრუმენტების ფორმებთან, პორტფოლიოს წარმოების სახის შეცვლასთან და სხვ. შინაარსობრივი ცვლილებები დაკავშირებულია აქტივობების შინაარსის შეცვლასთან, შეფასების ინსტრუმენტების შეცვლასთან და სხვ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროცესის შეფასების შედეგები წარმოადგენს ერთ-ერთი მნიშვნელოვან წყაროს კურიკულუმის შეფასებისთვის.